საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

მარაბდის ბრძოლა

ქართლ–კახეთის წინააღმდეგ შაჰ აბას I–ის ომები ყველაზე სისხლისმღვრელია საქართველოს ისტორიაში. ქართველები არ ეგუებოდნენ დაუნდობელ მრავალრიცხოვან მტერს და თავდადებით იბრძოდნენ მის წინააღმდეგ. ერთ-ერთი ასეთი ბრძოლა გაიმართა მარაბდის ველზე. მარაბდა გახდა თავისუფლებისთვის ქართველთა თავგანწირული ბრძოლის სიმბოლო.

მარაბდის ბრძოლას წინ უძღოდა ქართლ-კახეთის აჯანყება, რომელსაც გიორგი სააკაძე მეთაურობდა. 1625 წლის 25 მარტს მარტყოფის ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. მაგრამ აჯანყებულთა წინააღმდეგ განრისხებულმა შაჰმა ახალი დიდი ჯარი გაგზავნა კახეთში. ირანელთა არმია 1625 წლის ივნისის ბოლოს შემოვიდა საქართველოში. მტერი მდინარე ალგეთის ხეობაში, მარაბდის ველზე, დაბანაკდა. ირანელებს 60 ათასი მეომარი ჰყავდა, ქართველებს - მხოლოდ 20 ათასი. გიორგი სააკაძე ამ ბრძოლაში ხელმძღვანელობას ჩამოაცილეს. ამის მიზეზი ქართველთა სარდლობაში აზრთა სხვადასხვაობა იყო. გიორგი სააკაძე მოითხოვდა დაცდას, სანამ მტერი თვითონ არ გადმოვიდოდა შეტევაზე. მისი აზრით, დიდი სიცხის გამო ქართველებს მარაბდის მხურვალე ველზე ბრძოლა გაუჭირდებოდათ. მაგრამ სამხედრო თათბირმა სააკაძის გეგმა უარყო.

ქართველებმა გარიჟრაჟზე შეუტიეს ყიზილბაშთა ლაშქარს. იერიშზე გადასულ შუბოსან მხედრებს მტრის თორმეტი ათასი მეთოფის ზალპი შეეგება. მემატიანის ცნობით, თოფის წამლის კვამლს ჰაერი დაუბნელებია და დღე ღამედ გადაუქცევია. კვამლი რომ გაიფანტა, ქართველები, როგორც მემატიანე წერს, „გახურებული ხოცვით“ შეიჭრნენ მეთოფეთა რაზმებში და გააქციეს ისინი...

მე-17 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ზაქარია სარკავაგის სიტყვებით, სასტიკი და საზარელი ბრძოლა ჰგავდა მჭედლის ურის დარტყმას რკინაზე. თოფების ბათქაბუთქი, ისრების ზუზუნი, მეომართა ყიჟინა და ცხენების ჭიხვინი საოცარი ძალისა იყო. ამან ყიზილბაშთა სატვირთო აქლემები დააფრთხო. მათ ისე მოკურცხლეს, რომ იმავე ღამეს შირაზამდე ჩააღწიეს. გზაში რაც შეხვდათ, გაცოფებულებმა ყველაფერი გადაქელესო.

LIVEWORKSHEETS

ბრძოლის ბედი თითქოსდა გადაწყვეტილი იყო, ქართველთა გამარჯვება თითქმის გარდაუვალი. ყიზილბაშთა ლაშქარი პანიკამ მოიცვა. მიუხედავად ამისა, მტრის ერთ-ერთი სარდალი ისა-ხანი ბრძოლის ველს არ თმობდა. ის უკანასკნელ ძალებს იკრებდა. სამწუხაროდ, ქართველებმა შეცდომა დაუშვეს. მეომართა ნაწილმა ბრძოლა უკვე მოგებულად ჩათვალა და გამარჯვების აღნიშვნა დაიწყო. ამ დროს ცხენოსანთა რაზმი ავთანდილ სააკაძის მეთაურობით გაქცეულ მტერს დაედევნა. ისინი საკმაოდ შორ მანძილზე გასცილდნენ ბრძოლის ველს. ამან ყიზილბაშთა მდგომარეობა საკმაოდ შეამსუბუქა. მტერმა ძალის მოკრება შეძლო და ქართველებს შეუტია. მალე ყიზილბაშებს დამატებითი დასვენებული რაზმიც შეუერთდა. ქართველთა ცხენოსანმა ჯარმა მტრის შემოტევას ვეღარ გაუძლო და გატყდა. მათ ბრძოლის ველი დატოვეს. თუმცა ქვეითი ჯარი მომხდურს არ დანებდა და ბოლო კაცამდე მამაცურად იბრძოდა. ამას ისიც დაემატა, რომ ქართველები ალაფის აღებამ გაიტაცა. ასე დაიქსაქსა ძალები. საბოლოოდ ყველაფერმა ამან გამარჯვების სასწორი ყიზილბაშთა მხარეს გადაწონა.

მარაბდის ველზე ქართველები დამარცხდნენ. ეს ადგილი იქცა ცხრა ათასი ქართველი გმირის სამარედ. არც ყიზილბაშებს ეთქმოდათ გამარჯვებული. თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმას სიტყვებით, „ამ ბრძოლაში ყიზილბაშთა ჯარმა დიდი ზარალი განიცადა. მთავარსარდალთან ერთად მხოლოდ ცოტამ თუ უშველა თავს“. მართლაც, მარაბდის ომში დაიღუპა თოთხმეტი ათასი ყიზილბაში. ასეთმა დიდმა დანაკარგმა მტერს ძალ-ღონე გამოაცალა. შაჰ-აბასისათვის მარაბდის ომი გახდა სიგნალი იმისა, რომ საქართველოს დამონება შეუძლებელი იყო. ამ ბრძოლამ დაასამარა ყიზილბაშთა ოცნება საქართველოს მოსპობაზე. მარაბდა იმ გაკვეთილს ჰქვია, რომელიც კარგად ისწავლა მტერმა და თავად თქვა უარი ქართველი ხალხის „გათათრების“ წადილზე.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **რის სიმბოლოდ ითვლება მარაბდა?**

ა) თავისუფლებისათვის ბრძოლის.
ბ) ქართველთა ერთიანობის.
გ) ქართველთა სიძლიერის.

2. **რატომ არ მისცეს გიორგი სააკაძეს მარაბდის ბრძოლის ხელმძღვანელობის უფლება?**

ა) მარტყოფის ბრძოლის შემდეგ დასვენება სჭირდებოდა.
ბ) მას სათადარიგო ბრძოლისთვის მომზადება სთხოვეს.
გ) სამხედრო თათბირზე სარდლობას მისი გეგმა არ მოეწონა.

3. **რაზე ამახვილებს ყურადღებას სომეხი ისტორიკოსი მარაბდის ბრძოლის აღწერისას?**

ა) ბრძოლა სასტიკი და საზარელი იყო.
ბ) ბრძოლისას მეომრები თოფებს იყენებდნენ.
გ) ყიზილბაშებს საბრძოლო აქლემები ჰყავდათ.

4. **რა შეცდომა დაუშვეს ქართველებმა მარაბდის ომში?**

ა) საბოლოო გამარჯვებამდე ძალები ნაადრევად დაქსაქსეს.
ბ) ქართველთა ცხენოსანმა ჯარმა ბრძოლის ველი დატოვა.
გ) ქვეითმა ჯარმა ბრძოლის ველი დროულად არ მიატოვა.

5. **„ასე დაიქსაქსა ძალები“. რას ნიშნავს ამ წინადადებაში <u>ძალების დაქსაქსვა?</u>**

ა) ძალების დაკარგვას.
ბ) ძალების დაფანტვას.
გ) ძალების მოკრებას.

LIVEWORKSHEETS

6. რამ განაპირობა მტრის გამარჯვება მარაბდის ბრძოლაში?

ა) მტერს ბრძოლის ველზე დასვენებული რაზმი მიეშველა.

ბ) მტერს უფრო მეტი თოფ-იარაღი ჰქონდა.

გ) მტრის ჯარი 3-ჯერ აღემატებოდა ქართველთა ლაშქარს.

7. რა ჩანს სომეხი და თურქი ისტორიკოსების ჩანაწერებიდან?

ა) ორივეს აზრით, მტერი ბევრად უფრო ძლიერი იყო.

ბ) ორივეს აზრით, ქართველები ძლიერი მებრძოლები იყვნენ.

გ) ორივეს აზრით, ყიზილბაშები უკეთ იყვნენ შეიარაღებული.

8. რა არის ბოლო აბზაცის დანიშნულება?

ა) გააანალიზოს ქართველთა მარცხის მიზეზები.

გ) შეაფასოს ყიზილბაშთა დამპყრობლური პოლიტიკა.

გ) შეაჯამოს მარაბდის ბრძოლის მნიშვნელობა.

LIVEWORKSHEETS